სსიპ სამოქალაქო
ავიაციის სააგენტო

I ხეივნის ქუჩის დასაწყისი
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 2 948 014
office@gcaa.ge

19 მაისი 2026

N 05/1798

N 26/05/19-166
2026-05-19

შპს „მაგთიკომი“-ს მთავარ
ადმინისტრაციულ ოფიცერს
ბ-ტ ნოდარ ბაღათურიას

ასლი: შპს „ტავ საქართველოს“-ს

თქვენი, 2026 წლის 18 მაისის №ED-26/05/18-010 წერილის (რეგ.№2432/01) პასუხად, რომელიც ეხება ბარბარე ბაირამაშვილის ქუჩა №7-ში და მის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდზე 01.11.17.006.844 მობილური ინტერნეტ კავშირის უზრუნველყოფის მიზნით დაგეგმილი 15 მეტრის სიმაღლის საკომუნიკაციო ანძის მშენებლობას, გაცნობებთ, რომ მოცემულ მიწის ნაკვეთზე, საქართველოს მთავრობის, 2024 წლის 6 მარტის #73 დადგენილების - „აეროდრომისა და ვერტოდრომის დაცვის არის დადგენისა და ამ არეში საავიაციო დაბრკოლების შემქმნელი შენობა-ნაგებობის მშენებლობის, აგრეთვე აღნიშნული შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის, შეზღუდვისა და ნიშანდების წესი“-ს 23-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოსთან შეთანხმებას ექვემდებარება იმ შენობა-ნაგებობების განთავსება, რომელთა სიმაღლე საშუალო ზღვის დონიდან (MSL), EGM-96 სისტემაში (დედამიწის 1996 წლის გრავიტაციული მოდელი) აღემატება აეროდრომის რაიონის შეზღუდვის არეალის დადგენილ აბსოლუტურ სიმაღლეებს, კერძოდ, აღნიშნული მიწის ნაკვეთისათვის **630.8** მეტრს, რა დროსაც სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოში წარმოდგენილ უნდა იქნას განცხადება და შესაბამისი დოკუმენტაცია, რომელიც მოცემულია სააგენტოს ოფიციალურ ვებ გვერდზე - https://gcaa.ge/aerodrome-safeguarding/.

პატივისცემით,

გივი დავითაშვილი

დირექტორი

ხელმძღვანელობა